ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1296059

ნომერი: AR1222809

თარიღი : 23.05.2014

გაცემის თარიღი : 30.05.2014

გაცნობის თარიღი : 02.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მცხეთის მხრიდან შემოსასვლელი გზის მარჯვენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი

- Reza Rasti პ/ნ 01197002923
- Agmashenebeli St. No: 86/90

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მცხეთის მხრიდან შემოსასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.72.14.006.265) კომერციული შენობა ნაგებობის რეკონსტრუქციას, ფართის მატებით, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც ითვალისწინებს აღმაშენებლის ხეივნის გაფართოების მიზნით განაშენიანების რეგულირების ხაზს გზიდან დაახლოებით 12.0მ.–ს, რისი გათვალისწინებითაც საპროექტო ტერიტორია რჩება განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა (იხ. დანართი); გამომდინარე აქედან აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის; შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია ფართის უცვლელად, არსებულ გაბარიტებში;

აღნიშნულის შესახებ უკვე გეცნობათ სამსახურის №820397 გადაწყვეტილებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.